



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი:პ/8161213
თარიღი:15/07/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 11

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 14.07 2021.წ

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი: - ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალაიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალაიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადვიშვილი, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ტარიელ ბარამიძე, გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში-**ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების

სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - **ვანდა გიორგაძე**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი- **ზაზა ოჩხიკიძე**.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხს: /ვანდა გიორგაძე/

5. საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“

მომხს: /ზაზა ოჩხიკიძე/

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის

მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;“ მომხსენებელმა მოკლედ აღნიშნა, რომ ამ პროექტმა გაიარა ყველა სამართლებრივი ინსტანცია და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2021 წლის 11 ივნისის სხდომის ოქმის N26 ამონაწერის შესაბამისად გვეძლევა საშუალება მივანიჭოთ N12 ქუჩას ნიკოლოზ აგიაშვილის სახელი, რაზეც თქვენი თანხმობაა საჭირო.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ დიხაშხოს N12 ქუჩისთვის ნიკოლოზ აგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

(განკარგულება N გ -65. 65211951)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომსაქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5% .

აღნიშნული ღირებულების პროექტებზე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება:

1. ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მაღლაკელიძე-ჭელიძეები-ცინცაძეების უბანი (მეორე ეტაპი)- 342576,10 ლარი
2. სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია- 586 578,71 ლარი

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს .

მომხრე – 30

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ზეინდრისა და სალომინაოს

ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;
განკარგულება N გ-65.65211953)

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება შემდეგ პროექტებზე:

ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია

1. ზედაეწერ ტობანიერი კაცაძეების უბანი- 134751,76 ლარი
2. მეფარიშვილების უბანი - 141083,18 ლარი
3. მინაშვილი-ჯულაყიძეების უბანი - 183901,38 ლარი
4. მაჭუტაძეების უბანი - 31641,81 ლარი
5. კუშუბოურის უბანი - 196608,79 ლარი

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;“

(განკარგულება N გ-65.65211952)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამშემთხვევაშიც მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება შემდეგ პროექტებზე:

- 1.ქ. ვანში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია
- გ. ტაბიძის ქუჩის შესახვევები -სავარაუდო ღირებულება 371668,36 ლარი

- წმინდა ნინოს ქუჩის შესახვევები-სავარაუდო ღირებულება 56020,38 ლარი

2. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების

რეაბილიტაცია (ბზვანი-ზედაბზვანის დამაკავშირებელი)-სავარაუდო ღირებულება 408789,00 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ ვანის და ბზვანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის მიზნით;“

(განკარგულება N გ-65.65211954)

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ზაზა ოჩხიკიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტისთვის მერიის მიერ შეირჩა 6 საპროექტო იდეის განაცხადი:

ა) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ზეინდარი (შუაგორა) - ფერეთას ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ბ) ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ყუმური-დუცხუნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

გ) ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

დ) ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ე) მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ვ) სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო იდეების მოწონების შესახებ“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ
საკრებულოს რიგითმა სსდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე